ეშმაკის ჯოხი

ფასი 15 მ.

№ 38

1920 წ.

აგვისტოს 15

მზრუნველობა.

184.

საბჭოთა რუსეთი სომხეთის დედაა ნამდვილი.
ხელები მეუკრავ, ამით კი ხურვაა ადვილი.

993

კალისტრატეს რჩევა

(ძღვნათ ვასო გურულიშვილს)

ერთი პატარა ნაკლი (რუსები რომ იტყვიან слабость) ქონდა იასე ჩოლოყაშვილს:

საშინლათ უყვარდა როცა თავადს უწოდებდენ.

უთავადოთ მას ცხოვრება ვერ წარმოედგინა. ყველაზე სასურველი სტუმარი მეტისმეტ უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდებდა თავს თუ იასეს თავადს არ უწოდებდა.

უნდა ვთქვათ სიმართლე, რომ ამ მხრივ ჩვენ თავადს სამდურავი არ შეეძლო ეთქვა:

ულტიტულოთ სალამს ვერავინ უბედავდა.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მოენგრა ნიკოლოზის ტახტს მეოთხე ფიხიც (სამი 1905 წელს მოუნგრიეს) და თვითმპყრობელობა ხუხულასავით დაინგრა.

ყველა ძველი კანონები თავდაყირა დადგა; ზოგიც სულ გადაიკარგა წარსულის უფსკრულში.

რევოლიუციამ თავისი ახალი კანონები გამოსცა.

არც ერთი კანონი, 5000 დეს. მიწის ჩამორთმევაც კი ისე არ სწყენია იასეს, როგორც თავად-აზნაურობის მომსპობ კანონის გამოცემა.

— თავადობაზე უარი ვსთქვა და საგინებელი სახელი— მოქალაქე დავირქვაო?!. ცხარობდა თავადი.

— მამა, მოქალაქე საგინებელი როდია. შენ თვითონ რამდენჯერ გითქვამს: ჩვენი ივანე მარჯვე ბიჭია „პატომსტვენი პაჩოტნი ღრაჟდანინობა მიიღო". ანუგეშებდა ქალიშვილი.

მაგრამ იასეს ასე ადვილათ დანუგეშება არ შეიძლებოდა. მთელი სიცოცხლე მოუწამლა ამ კანონმა და მუდამ იმას ფიქრობდა საიქიოს თავადობა ჩამოხდილი როგორ წავრსდგე ჩემს წინაპრებთანაო.

ბოლოს გადასწყვიტა იასემ წასულიყო ქუთაისში.

— ყველა იმერელი ადვოკატათ იბადება. იქნება ქუთათურმა ვექილებმა მოუძებნონ ამ კანონს შემოსავლელი გზაო.

ქუთაისში იასე ძველ ნაცნობს, კალისტრატეს ეწვია—აუხსნა თავის მდგომარეობა, და როგორ გგონიათ თქვენ?

კალისტრატემ მონახა გამოსავალი.

— თავადო იასე! ურჩია კალისტრატემ. საქართველოს რესპუბლიკის კანონებით გაუქმებულია თავადობა, აზნაურობა და კნიაზობა. მაგრამ ბეგობა, ხანობა და აღობა არაა გაუქმებული. წინააღმდეგ, ჩვენი მთავრობა დიდი პატივისცემით ეპყრობა ბეგებს. როგორც მოგეხსენებათ ბათუმში ბეგები დიდ პატივისცემაში არიან. ჩინებით, ავტომობილებით, ტელეფონებით ყელამდე სავსე არიან. მიეცით თქვენ თხოვნა მთავრობას, რომ თავადობა ჩაიბაროს თანახმათ კანონისა, მაგრამ სამაგიეროთ მოგცენ ბეგობა.

იასეს ჭკუაში დაუჯდა კალისტრატეს რჩევა.

— ეს იმერლები ნამდვილი გენიოსები არიანო— სთქვა იასემ. დააწერინა კალისტრატეს თხოვნა და მიართვა მთავრობას.

ვნახოთ რა პასუხს მისცემს მთავრობა.

გრ. სლუჩაინი.

შემცდარი ნაბიჯები.

დღევანდელ ჩვენს ჟურნალში იბეჭდება გრ. სლუჩაინის ფელეტონი „კალისტრატეს რჩევა", რომელშიაც აწერილია მცირე ტრაღედია ერთი გამოქალაქებული მოხუცი თავადისა.

დღევანდლამდე არა თუ ჩვენს ჟურნალში, საზოგადოთ ქართულ პრესაში ამ საკითხისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. საკითხი კი ათასჯერ ღირსია გიცილებით მეტი ყურადღებისა.

. გაუქმდა ერთი კალმის მოსმით მთელი ორი წოდება თავადობა და აზნაურობა. ხალხი რომელიც დაბადებიდან შესისხლხორცებული იყო რუსულ „Кн."-ს და ქართულ „თ-დ"-ს დღეს იძულებული არის გამოეთხოვოს ამ სამკაულს და თავისი გვარის ღირსებები შეჰკვეცოს. რაღა არის მაგალითად ჭავჭავაძე, თუ მას წინ „Кн." არ მიუძღვის? იგი ამ შემთხვევაში უბრალო ჭავჭანიძე გამოდის და სხვა არაფერი!

თავის თავად ცხადია, რომ ამ რეფორმის გამო მთავრობის უმადური დარჩა ყველა ის თავადი და ყველა ის აზნაური, რომელიც ამა თუ იმ სახით წევრი ეარ არის ჩვენი მთავრობისა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ უმეტესი ნაწილი თავად-აზნაურობისა უფრო ნაწყენია „Кн"-ს ჩამორთმევით, ვიდრე ათეულ დესეტინა სახნავ-სათესისა და ზვრების კონფისკაციით.

პირველ ხანებში, როცა წოდებათა გაუქმება ხუმრობა ეგონათ, ამას ყურადღებას არავინ აქცევდა და საგარეო საქმეთა სამინისტროში „Кн" დიდ ხმარებაში იყო, მაგრამ როცა ეს ხუმრობა არ გამოდგა და საქმის ქაღალდებში გვარის დასამშვენებელი „Кн"ს შეტანა შეუძლებელი გახდა, მაშინ არა ასმა და ათასმა გულმა იგრძნო მწარე ტკივილი და მწუხარება.

ჩვენამდე მართალია არ მოუხწევია ცნობებს ამის შესახებ, მაგრამ დარწმუნებული ვართ ამ ნიადაგზე გულის გახეთქით სიკვდილსაც ექნებოდა არა ერთი და ორი შემთხვევა.

ყოველივე ეს კი მოხდა უმიზეზოთ, შემცდარი ნაიჯების გამო.

ჩვენს რედაქციას ჯერ კიდევ რევოლიუციის პირველ დღეებშივე ჰქონდა მზა-მზარეული „დე-

კრეტი," რომელიც უმტკივნეულოთ ჩაატარებდა ამ სათუთ რეფორმას, არც მწვადი დაიწვოდა, არც შამფური. იმ პირველ დღეებში ჩვენ არ წამოვაყენეთ საჯაროთ ეს დებულება, რათა ჩვენთვის მეტიჩრობა ავარის შეეწამებია და თუ ეხლა ვკადნიერდებით და ვაქვეყნებთ, ამას ვშვრებით მხოლოდ ისტორიის გულისთვის.

მართლაც, ზემოაღნიშნულმა რეფორმამ მხოლოდ მოსპო წოდებები, შექმნით მას არაფერი არ შეუქმნია. მან წაართვა ერთ ნაწილ ქართველობისას ის, რაც მას ჰქონდა მინიჭებული, ხოლო დანარჩენისთვის არაფერი არ მიუცია.

ზოგიერთების აზრით, ამ მოქმედებით მიღწეულ იქმნა თანასწორობა ქართველი ერის წევრთა შორის. კარგი და პატიოსანი! მაგრამ ამავე თანასწორობის მიღწევა შეიძლებოდა სულ სხვა გზით და რაც უმთავრესია შეიძლებოდა ისე, რომ არავინ უკმაყოფილო არ დარჩენილიყო. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ უკეთუ ჩვენი პროექტი განხორციელებულიყო, მთელი ქართველი ერი მადლიერი იქნებოდა თავისი მთავრობისა.

ჩვენი რედაქციის აზრით მთავრობას არ კი უნდა ჩამოერთმია თავადობა თავად-აზნაურთათვის, არამედ სათანადო დეკრეტით თავადობა უნდა მიენიჭებია ყველა ქართველებისათვის. მას უნდა გამოეცა დაახლოვებით ასეთი დეკრეტი:

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა-მთავრობამ თავის კრებაზე დაადგინა: გაუქმდეს საქართველოში ყველა სხვა წოდება გარდა თავადობისა და დღიდან ამ დეკრეტის „საქართველოს რესპუბლიკაში" დაბეჭდისა, ყოველი ქართველი იწოდებოდეს თავადათ".

ეს თუმცა უბრალო, მაგრამ უაღრესად გონივრული ნაბიჯი, აი რა შედეგს მოუტანდა საქართველოს:

ჩვენ ვიცით: ყოფილი თავად-აზნაურობა უმადურია იმით, რომ მას წაერთვა „Кн", ხოლო გლეხობა იმით, რომ მას არ მიეცა ამ მხრივ არაფერი.

ჩვენი დეკრეტის მიღების შემდეგ თავად-აზნაურობა მადლიერი იქნებოდა იმიტომ, რომ მას შერჩებოდა ძველი წოდება, ხოლო გლეხობა ასჯერ უფრო მადლიერი იქნებოდა იმით, რომ მას მიენიჭებოდა თავადობა. სახელმწიფოს კი ამ მომადლიერებაზე არაფერი არ დაეხარჯებოდა გარდა ტკბილი სიტყვისა.

აი მოკლეთ ჩვენი მოსაზრებანი ამ საკითხის შესახებ და სირცხვილი მისი, ვისაც უკეთესი მოეპოვება და არ ამჟღავნებს.

მორიელი.

გურული სცენა

(პარასკეობაზე)

— ლიზიკო, სეით იმზირები ცავ ე გოგო ეგერ, რომ მივა თეთრ ბლუზიანი იგია, ძაან მდიდარი არაა, მარა არც თლათ ღარიბია...

— ვაიმე ნენა რას გავს იგი, რამხელა ცხვირი აქ?.. თლათ, რომ ამუარდეს საკაკეთი იმას მაინც არ წავყობი...

— არ წაყობი და ქე იყავი შინ... ვოზდასამი წლის ხარ, ვოზდასამი სახარება გუწყლა იმას, ვინცხამ აგი სიღარიბე მეიგონა...

— დეიწყებ შენ ახლა აქანე წყევლას და გადამიმცირებ გულს...

— რავქნა აბა, შენ დასაღუპავო, იგი აბდალია, აგი ბაინდურია, ამას კბილები აქ დაკრეჭილი, იმას ცხვირი აქ დიდიო და რაგინდა, რომ არ ვიცი, ქვეყნის უკითესი ვერ ვიშონე და რა გიყო აბა, ერთი შენ თავზეც დეიხედე, მზის უნახავი არც შენ ხარ მაინდამაინც, ნუ გეშინია.

— ჩემი ნენი, უთავბოლო ლაპარაკს ნუ მოყობ ამ პარასკეობაზე, როის ვთქვი მე მზის უნახავი ვარ მეთქი...

— ვაი უბედურს ჩემს დღეს შენს ხელში ჩავარდნილს. რავა მე შენ გამიმწარე სიცოცხლე. აი ფარითაა ნაყიდი, მაგიც მალე შამოგაგჯება ტანზე ნაკაბევი რომ გაცვია აგერ ასესხებული და ვინცხა გიყიდის იმასაც ქე დეივინახავ...

— თუ არ მექნება ქე ვიქნები ჩემდა...

— კი მარა ჭამა არ გინდა, ნენა? ხომ იცი, რომ წყალის მეტი ყორიფელი საყიდელია და გასაყიდი კი აფერი გვაქ... შამა შენი დაბერდა, ნენა, მუშაობა უწინდულად ალარ შუოძლია, გუუმწარდ სიცოცხლე, გვნეშის დღეიდა ღამე და ქია. ხანდის ხან იტყვის: თავისუფლებას მივესრებოდი და ასე გაჭივრებული ვიქნებოდი მეგონაო...

— ახლანდელ დროში გაჭივრებული ბაბე კი არა, ხენწიფეებიც კია თურმე...

— ვაი იგენს გუუჭირდა პირში სულის მოთქმა რავა იგინმა არია აგი დაწყობილი ქვეყანა და გააძვირა ყორიფელი... ლიზიკო, ნუ ვაროფ ნენა, ფოტინემ ყორიფელი მითხრა, მას ქე მოსწონხარ თურმე, კაცი ცხვირიზა მისდღემჩი არ დეიწუნება. კაცს ცხვირიც უნდა ქონდეს დიდი და პირიც, ცხვირი კიარაა. საქმე ჭკუაა... სიმღერა კაი ცოდნია და ცეკვა, ხუმბა რიქე ყოფილა კიდომ, იმ დღეს ესიკელესას თლად დახოცა თურმე ყველე სიცილით..

— კი ნენა მარა იი ცხვირი მაწუხებს ძაანს...

— რას დაგიჩემებია მანდამაინც ცხვირი... მიაფურტნე იმ ცხვირზე და შუუთვალოთ რამე, ჩვენ სიტყვას უცდის ახლა, ფული არ უნდა და

გვზითი, გადვიწერ უცებ ჯვარს და თუ რამე გაიეფდ, ქორწილს მერეც მ ესრება, კაცო უთქვამს...

— არ მომწონს და ახლა ძალითე გინდა გაკეთო საქმე?

— რეიზა, შენ დასალუპავო, ალარა, გოგიეს სიძეს ეგერ ურმის კამპუს უგავს ცხვირი მარა ალმასივით ქალი წეიყვანა შინ...

— არ მინდა და რა გინდა ახლა...

— ვაი, არა მარამ წეაღოს ახლანდელი ქალიშვილების თავი, ჩემი იყოს და გინდა სხვისი და ხელები გუუხმა მის დედას თუ იმას ჩვილობას მისდა ცხვირი ძიეწვართა და ეგი საქმე არ ჩიეშალა...

რ. ჯიბილ.

„ძირს დედის გინება“

მორიგი რეფორმა კომუნისტური რუსეთისა.

„ДОЛОЙ МАТЕРНУЮ РУГАНЬ“.

Такъ озаглавлена помѣщенная въ „Правдѣ“ отъ 16 іюля подписанная „Рабочимъ“ замѣтка:

Черезъ посредство печати хочу обратить вниманіе на одно изъ самыхъ позорныхъ явленій русской жизни, на такъ назыв. матерное ругательство. Полагаю излишнимъ распространяться о томъ, сколь мерзостно это ругательство, такъ излюбленное въ народѣ и богатое всякими безсмысленными и гнусными варіантами. Кажется, второе по порядку слово, произносимое дѣтьми рабочихъ и бѣдноты, послѣ „мама“, есть эта мерзость. Неужели нѣтъ средства побороть это зло? Изъ устъ многихъ вполнѣ сознательныхъ и разумныхъ товарищей на фабрикахъ, заводахъ и даже въ центральныхъ учрежденіяхъ слышите эту гнусность, произносимую даже не въ минуту гнѣва и раздраженія, а „такъ“, по привычкѣ, а нѣкоторыми даже для бравады. Право, кажется, что если выкинуть это „выраженіе“, то рѣчь сократится на 75 проц. Быть можетъ, и здѣсь коммунистической партіи слѣдовало проявить иниціативу, и обязать своихъ членовъ, какъ это ни трудно будетъ многимъ изъ нихъ, обуздать себя и быть и въ этомъ отношеніи образцомъ для окружающихъ товарищей. Потребуются десятки лѣтъ, чтобы совсѣмъ освободиться отъ этого позора, поэтому нужно начинать не откладывая.

Рабочій.

(Московская „Правда“ отъ 16 іюля).

ძირს დედის გინება!

ვინმე მუშა მოსკოვის გაზ. „პრავდაში“ სწერს: „ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით მსურს მივაქცეო საზოგადოების ყურადღება რუსეთის ცხოვრების ერთ ყველაზე უფრო სამარცხვინო მოვლენას;—ეგრეთწოდებულ **დედის გინებას.** ვფიქრობ, ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რამდენათ სამარცხვინოა ეს გინება, ყოველგვარი უაზრო და უსირცხვილო ვარიანტებით. მგონი, რომ მეორე სიტყვა, რომელსაც ამბობენ მუშებისა და ღარიბი ხალხის ბავშვები —სიტყვა „დედას“ შემდეგ არის ეს სისაძაგლე. ნუ თუ არ არის საშუალება, რომ დაითრგუნოს ეს ბოროტება? ქარხნებში, ფაბრიკებში და ცენტრალურ დაწესებულებებშიაც კი ბევრ სრულიად შეგნებულ და გონიერ ამხანაგებისაგან გესმის ეს გინება, წარმოთქმული სიბრაზისა და გაჯავრების მომენტში კი არა არამედ — ისე, ჩვეულებისამებრ, ზოგიერთების მიერ—დასაკვეხნათაც კი. ვფიქრობ რომ თუ ეს გინება მოისპობა, მაშინ ლაპარაკი შემცირდება 75%. შეიძლება აქაც, კომუნისტურ პარტიას, მიეღო თავის თავზე ინიციატივა და და დაევალებია პარტიის წევრებისათვის, რაც უნდა მძიმე არ იყოს ეს ზოგიერთებისათვის, გინებისაგან თავის შეკავება, რომ ამ ბრივ ისინი გამხდარიყვნენ მაგალითი სხვა ამხანაგებისათვის. დაგვჭირდება ათეული წლები ვიდრე ამ სირცხვილს თავს დავაღწევდეთ—ამიტომ საჭიროა, ეხლავე, გადაწყვეტილათ, ამ საქმის დაწყება („პრავდა“ № 155).

დროს ეკონომია.

მართალია მე „ბოლშევიკი“ არა ვარ, მაგრამ სამაგიეროთ არც „მენშევიკი“ ვარ.

მე ასე ვთქვათ „სრედნევიკი“ უფრო შეიძლება დამერქვას.

ე. ი. კარგი, რამდენიც უნდა გააკეთოს, ბოლშევიკისაც მომწონს და მენშევიკისაც.

ცუდი არც ბოლშევიკისა მომწონს და არც მენშევიკის.

ჩვენში კი ეს ასე არ არის. თუ საქმე ბოლშევიკმა ჩაიდინა მაშინვე დიდი და პატარა ქალი და კაცი, რევოლიუციონეიი და რეაქციონერი ყველანი ერთხმად დაიწყებენ ლაღადისს:

— შორს, შორს ჩვენგან, ბოლშევიკი კარგს რას იზამდაო.

მოქალაქენო! ეს შეხედულობა ცალმხრივია, მართალია ჩვენთვის, ქართველებისთვის, ბოლშევიკები კარგს არასოდეს არ იზამენ, მაგრამ რუსეთისთვის ძალიერ ხშირათ კარგსაც შვებიან ხოლმე: თუ გნებავთ ჩამქოლეთ ამისათვის, მე თავი ჩემი არ მეზოგება.

მაგალითი თვალ წინ მიძევს. თქვენ მოგეხსენებათ რა ძვირფასი რამეა დრო. ინგლისელების თქვენით „დრო ფულია“, ხოლო სოლომონ ზურგიელიძის განცხადებით „დრო ფულიანი კაცისაა“. თქვენ კარგათ იცით, რამდენი ძვირფასი დრო იკარგება ლაპარაკში.

მაგრამ ლაპარაკიც არის და ლაპარაკიც. ყველა ლაპარაკშია ზედმეტი ელემენტი, რომლის გამოტოვება სარგებლობის მეტს ქვეყანას არაფერს მოუტანს. ავიღოთ მაგალითისათვის ჩვენი „ესერებს“ ლაპარაკი, დამფუძნებელ კრებაში. თუმცა მე მარტო ესერებზე არა მაქვს დღეს სიტყვა.

მოსკოვის ბოლშევიკებმა კი ამ გარემოებას უკვე მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება და მოითხოვეს ლაპარაკიდან „დედის გინების“ გაძევება.

ლაპარაკიდან „**დედის გინების**“ გაძევებას მოითხოვს უმთავრესად მოსკოვის პროლეტარიატი.

რა თქმა უნდა წითელი არმია და მით უმეტეს მისი ხელმძღვანელები ჯერ ჯერობით ვერ არიან განვითარებულ ამ დონეზე ასულნი.

წერილის ავტორი მოითხოვს „დედის გინება“ გაძევებულ იქნას:

ა) ყველა სახელმწიფო დაწესებულებიდან (სოვნარკომიდან, სოვდეპიდან სოვნარხოზიდან, სოვნაოპრესიდან, სოვჩეკიდან, კომბედიდან, კომპროდიდან, კომპუტიდან და სხვ.

ბ) გაძევებულ იქნას ყველა მიტინგებიდან.

გ) ყველა სასწავლებლებიდან.

დ) ყველა ეკლესიებიდან.

ე) ყველა გაზეთებიდან.

ვ) და აგრეთვე კერძო ლაპარაკიდან.

წერილის ავტორი ცდილობს თავისი მოთხოვნილება ეკონომიური სარგებლობის შესაძლებლობით დაასაბუთოს და მით მოწინააღმდეგეებს პირში ბურთი ჩასჩაროს.

მისი აზრით და უმთავრესათ კი სტატისტიკური გამოკვლევით, უკეთუ საბჭოთა რუსეთი ლაპარაკიდან **დედის გინებას** განდევნის, თვით ლაპარაკი 75 პროცენტით შემცირდება. ამის მიხედვით საბჭოთა რუსეთში წარმოთქმულ 100 სიტყვიდან 75 სიტყვა დედის გინება იქნება და განიდევნება ლაპარაკიდან, ხოლო დანარჩენი 25 სიტყვა, უბრალო სიცრუე, შეიძლება დატოვებულ იქნას.

ვსთქვათ რომელიმე სახალხო კომისარმა სამ საათს ილაპარაკა და წარმოსთქვა 10800 სიტყვა. აქედან 75 პროცენტი ე. ი, 8100 სიტყვა დედის გინება, ხოლო დანარჩენი 2700 უბრალო მოსატყუებელი საგიტაციო სიტყვებია. ამგვარათ დედის გინება თუ გამორიცხება ორატორს თავისი სიტყვის დასათავებლათ, დასჭირდება არა სამი საათი, არამედ სულ რაღაც 45 წუთი.

ამდენივე დრო დარჩება პროფესორებს, გიმნაზიებისა და სოფლის სკოლათა მასწავლებლებს, მლვდლებს და საზოგადოთ ყველა მოსამსახურეებს.

ასეთივე ეკონომია იქნება ჟურნალ გაზეთებშიაც. უკეთუ დედის გინება გამორიცხულ იქნება 100 გვერდიანი წიგნაკი 25 გვერდიანზე დაეტევა და სახელმწიფოს დიდძალი ქაღალდი გადაურჩება.

რეფორმა ერთობ რადიკალურია და არა გვაქვს იმედი საბჭოთა რუსეთმა თავისი ჩვეულების მიხედვით აქაც ერთის დაკვრით გადასჭრას საკითხი. შეიძლება პირველ ხანებში მოისპოს დედის გინება ეკლესიებსა და სკოლებში, ე. ი. ბურჟუაზიულ დაწესებულებებში, მაგრამ სახელმწიფო დაწესებულებებში, ჭარხანა-ფაბრიკებში და მით უმეტეს წითელ არმიაში მისი მოსპობა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ დიდ ოპოზიციას შექმნის და შეიძლება კიდევაც იმსხვერპლოს იგი.

ასეა თუ ისე ბოლშევიკი მუშები თავისას არ იშლიან და თავისი ქვეყნის ეკონომიურათ დაწინაურებაზე დღე და ღამ ფიქრობენ. თუ ზემოაღნიშნული წინადადება მოსკოვის პროლეტარიატისა მიღებულ და ცხოვრებაში გატარებულ იქნა, რუსეთს შეემატება 75 პროცენტი სამუშაო და სალაპარაკო დრო რითაც ქვეყანა დიდ სარგებლობას ნახავს.

აი რას შვებიან ბოლშევიკები. **ეშმაკი**

ქალაქის მოურავის მოვლინება ქუთაისში.

გაზეთმა „ერთობა“მ თავის მე 175 ნომერში ფრიად სასიამოვნო ამბავი ამცნო საქართველოს დემოკრატიას: იმ გაზეთში ასე ეწერა:

ამ რამოდენიმე დღის წინათ, მოღრუბლულ ცაზე ჭექა-ქუხილი გაისმა. ზეცის გული მოულოდნელათ გაიხსნა და ორმა ანგელოზმა ხელგაყრით („პოდრუჩკით“) ჩამოიყვანა სობოროს პირდაპირ ქუთაისის მოურავი.

„ქუთაისის მოურავი დ. თოფურიძე პირველ ყოვლისა წარუდგა ქალაქის წარჩინებულ პირთ და შესაფერი დეკლარაციით მ..მართა მათ.

ქალაქის მოურავი პირადათ გავიდა ქუჩების დასათვალიერებლათ და ყურადღება მიაქცია ზოგიერთა უსწორ-მასწორ ტროტუარებს. მისი აზრით ქვაფენილები სწორათ უნდა იყოს დაგებული და არა ოღრო-ჩოღროთ.



ქალაქის მოურავმა დ. თოფურიძემ თავისი ყურადღება მიაქცია აგრეთვე წყლის საქმეს და დაასკვნა, რომ წყალსადენის მოწყობა მოქალაქეთ უფრო დიდ შელავათს მისცემს.

განცვიფრებული მოქალაქენი სიხარულით შეჰყურებდენ ქალაქის მოურავის მოვლინებას და ოსანას უგალობდენ.

ქალაქის სანიტარულმა მდგომარეობამ ძლიერ დააფიქრა პირადათ ქალაქის მოურავი.

მან სასტიკი ბრძანება მისცა სანიტარებს ქალაქის დასუფთავების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით დასჯას დაემუქრა.



ქალაქის მოურავმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მოსამსახურე ქალებს, რომელნიც სამსახურში ცოტა უდროო დროს მოდიან და გააფრთხილა ისინი.

შექანჯალებულის ლექსები.

I

არალალი, თარალალი...
ციკნის ტყავი, ცხვარის ქეჩხო
საქოს ბურად გამოეცხო...
ვის სინდისზე ჭუჭყი ეცხო—
ყველა მე ვით ჩამოვრეცხო...
მენატრება ცხვარის ფეშხო...
სად ხარ ჩემო, ცხვირის ეშხო!?
ჯავრით როგორ დამიგძელდი?!
საღოლ ყარდაშ! ძმავ, ხოშგელდი...
ცხვარი იყავ, დღეს გამგელდი...

II

არალალი, თარალალი,
შემძულდა შრომა ჰალალი,
ვმტაცებლობ როგორც ალალი,
თუ რომ სხვას რამ არ დავლალი,
არ ვიქმენ მაკლერ-დალალი,
გახდება ყოფნა ფუჭია...
ვალმერთოდ ყველამ კუჭია!!.

III

არალალი, თარალალი...
საბახ, ხეირ ოლსუნ, ქემალი!!
გაჭამეს მგონი ტყემალი!!
საღოლ! ქემალო მუსტაფა!..
ვენიზელოსმა მოგტაფა...
ვაი, თუ ვენიზელოსმა,
დიდხანს ვერ ივენზელოსა
გვერდები დაეზილოსა...
საქმეს იქმს სასაცილოსა...
(თეკლე ვინ გააცილოსა?

IV

მოდი ჩემთან, ძმავ, დომენტი,
დავასურათოთ მომენტი:
კონუნქტურადა, სტრუქტურა
(დღეს ქათმებს მწყესავს თვით ტურა,
არც კი უღრინავს მას მურა)
ვისი გვაქვს ორენტაცია
(დღეს ბევრი გახდა ტაცია—
ვინც წინად იყო ვაცია
ის დღეს პირველი კაცია...
ასეა, დაო ფაცია)
ხომ მოგწონს კონსტიტუცია?!
ჩვენს ირგვლივ ფაცა-ფუცია:
ყვავები დღეს ძილ დამფრთხალი
კვლავ ჰფრენენ, გააქვთ ფართხალი,
რაც თავი იგდეს, ეყოფა—
და რას ჩეტნიკობს დღეს ხოფა?
მოუნდათ თავის გაყოფა
თავისვე დადგმულ მახეში
(ჰხამს, მაგრად მივსცხოთ სახეში)

V

აცხა კატავ, აცხა, აცხა!!
ჰო, ჰო, ჰო, ჰო, როგორ დაცხა?!
(შეხეთ გიგოს, როგორ გაძღა!)
მე მორთული მიყვარს ფაცხა
თუ ტეხურმა არ დაფარცხა...
ჰო, ჰო, ჰო, ჰო, როგორ დაცხა!!
თავში ტვინი ამიდღღდა...
მოვკვდი, გული შემიწუხდა...
(აგერ ჭინკა გამოუხტა)
სადმე უნდა ვნახო ჩერო
და იქ სუნთქვა შევაჩერო...
რავქნა, როგორ დავიჯერო:
წითელ დათვს ეტყვის ზღვის ღორი:
„ჩვენი მტრობა არის ჭორი,
გაუწოდოთ ერთ-ურთს ხელი,
მეგობრობა შევქმნათ წრფელი,
აწ, აღარ გმტრობ მოგეშვები
(თავისთვის: „მზათ მაქვს ეშვები
რომ მოგითხარო ფესვები“)
ვარ მე შენი მეგობარი:
და რაც შენ ეზოში არი
მე მომინდა იმის ჩუჩქნა
შენ განაგრძე შენებრ ბუქნა,
ღმერთმა ექვს დღეს ქვეყანა ჰქმნა,
შენ კი მოსპე ღმერთზე სწრაფად,
არაფერი გიჩანს ჯაფად
ოღონდ სულ ამტვრიო, ლეწო...
ჭკვა აღარ გაქვს ერთიბეწო?..
ზღვის ღორს ეტყვის მაშინ დათვი;
საქმეს თავი ვერ გავართვი:
ვისაც რამ ჰქონა წავართვი,
ვისაც რამ აქვს კვლავ წავართმევ,
(ამას მე კომუნას ვარქმევ)
სულ არა მაქვს მოცალება,
შენი მე არ გამეგება:
დრო არა მაქვს მოგისმინო,
და არც ძალმიძს მოვითმინო
მოთმინება არ არგებსო
ჩემს წითელ ამხანაგებსო,
თუმცა კრილოვს უთქვამს ასე:
(რავქნათ თუ ვერ დავაფასეთ)
„Дуги гнутъ съ терпеніемъ
А не вдругъ да съ пѣніемъ“
მაგრამ მოგვწონს ბრაგა-ბრუგი...
На кой чортъ дуги-муги...
თლად დავლეწავთ თუნდ ერთ დღესო
მთელი ჩვენი ქვეყნის ტყესო...

(ჰო, და, ხომ გესმის დომენტი,
რა რთული არის მომენტი,
კონიუქტურა, სტრუქტურა,
(ეს ბეკომ:ც დაადასტურა)
მანდატი, ორენტაცია...
(ვინც ორფეხზეა—კაცია?
ორ ფეხზე ძმავ სდგას ქათამიც...
თქმა არ მინდოდა მე ამის)
მაგრამ... ჩვენ-ჩვენს თავს მივხედოთ,
ჩვენს ირგვლივ მიმოვიხედოთ,
დამშვიდდა აზერბეიჯანი...
არც ბრინჯი, არც ბადრიჯანი,
არც ლაბლაბი და ქიშმიში...
(ეი ამის მკლავს მე შიში)
თურმე მშივდება წითლები,
უკაწკაწებთ მათ კბილები...
და ჩვენსკენ იყურებიან,
აქ სარჩო ეგულვებიან,
ეჰ, რა ქნან, ჯავრით კვდებიან,
ხელით რომ ვეღარ გვწდებიან,
(შიგნიდან ხომ ეცდებიან
ფეხის ფჩხილებზე დგებიან,
მუდამ „მათ“ ეგებებიან,
ჭორებს ჭორებზე შეთხზვიან,
და თავის კიროვს აწვდიან,
აქ-იქ მახეებს გვიგიან,
მაგრამ შიგ თვითონ ებმიან).—
მიტომაც ბრაზით სკდებიან.—
ჰო, და, ასეა, დომენტი,
რა გინდ ართულონ მომენტი,
რაც რომ მივართვით მის მეტი—
(ტყვია, წამალი და კეტი)
ჩვენ ვერ მიუძღვნით სხვას მეტსა...
(სიცხე დამახვევს თავს რეტსა)
და ახლა სხვა რა გიამბო
შიმშილით წივის ყურია...
ექვს თუმნად შავი პურია..,
შიმშილით კვდება გურია...
ას-ოც თუმნად მჭადი ფუთი...
ას-ოც თუმნად ფუთი მჭადი—
ჰე, ბავშვებო მსხალზედ ადი,
თორემ გამიცივდა ფუტი.
მოდი, აქ ძმაო, კლიმენტი,
თან მოიყვანე ტერეხტი
აქა-ვართ-მე და დომენტი,
განვავითაროთ მომენტი;
აზერბეჯნელი წითლები
ვით დამშეული დედლები
სომხეთსა უკაკანებენ,
ხელს სისხლში კვლავ იბანებენ
თვის მოძმე წითელ ოსმალებს
(სულ რომ ალახი აწვალებს)
სომხეთში მიაქანებენ,
მიდიან, მიკაკანებენ;
და უკვე ნახიჩევანში
(სომხებს თუ ექმნათ რევანში)
ჩაწითლდენ ჩასოვნარხოზდენ,
(ალბათ იქაც ბევრს დახოცდენ),
მეტიც მოუნდათ „უზურში“
იფიქრეს, რომ ზანგეზურში
ძალგვიძს გასოვნარკომობა,
თუმცა მოგვიწევს ომობა
(ჯორმა ვით შესძლოს ლომობა)
წითლები სომხეთს აიღებს,
ხმლებს ქარქაშში არ ჩაიგებს,
სანამ იქ ჩრეზვიჩაიკებს
არ დასმენ წითელ ტახტზედო,
სიტყვას აუგდებთ ბანზედო
ვინც სომხეთს დღეს ესარჩლება
არა, ძმავ, არ შეიძლება
არ ვიცნოთ წითელთ კაკანი—
— ბრალდებულია ბატკანი
თუ მგელს მოუნდა ჩიჩია...
(თედომ ფულს პური ირჩია)
და ისევ ყარაბახები,
სულ ჭირში ნაჭახრაკები,
და ისევ ზანგეზურები,
კვლავ ცეცხლის ალში გახვიეს,
თოფ-ხმლები მოანახვიეს.
მოკაკანებენ წითლები,
ვით დამშეული დედლები,
სურთ ფრენა ერევანშია,
მაგრამ ვაჰ, თუ რევანშია.
სომხებს უბოძონ წითლებმა
რა თვის ბუდეში დედლებმა
ვერ დასდონ კვერცხი ვერასდროს
თვის სახლში ის ვინ იკადროს,
(თუ გინდ ეს კითხეთ ნიკანდროს)
თვის სახლში ის ვინ შეუშვას,
თვის კარზე ის ვინ გაუშვას,
წითელი იყოს, თუნდ ჭრელი,
დროზეა კისერ საქრელი...
ჰო, და ასეა ტერენტი,
ჰა, ამოვსწურეთ მომენტი...
მაგრამ, ეჰხ, მართლა კინაღამ
არ დამავიწყდა, ამაღამ
მეკითხა შენთვის ერთი რამ:
მითხარ, წელს საით აპირებ,
საითკენ გაინაპირებ?
კითხულობ რომ ერობები,
სასწავლებლები, თემები
მუშაკებს იპატიჟებენ:
და კარგს ჯილდოსაც იღებენ,—
სჭირიათ: ექიმ-ფერშლები,
ხმოსანნი, და „უჩიტლები“
ქალაქებს უნდათ თავები,

ქალაქში მომუშავები
ერობებს თავჯდომარები,
ყოველ კუთხეში ნარები
გამოცდილ, გამობრძედილი...
და ვფიქრობ სულ წაწყმედილი,
(რომ ავიცილო შიმშილი)
ამოვირჩიო ერთი რამ,
თუმცაღა ვშიშობ დღეს... მაგრამ
დღეს სტაჟი... ცინზი ზედმეტობს,
და ყველა იქ მიჩერჩეტობს
ვის სად რა მოეურვება,
(სჯობს მათი ხომ დაურვება)
და ვის რა თანამდებობა
ხელს ეძლევს, უნდა შეტკბობა,
იქ ძალუძს თავის შეყოფა...
კარგი, ტერენტი... გეყოფა
მომენტზე ესდენ ლაყბობა...
ერთი რამ ჩვენც ავირჩიოთ,
და სიტყვებს საქმე ვარჩიოთ...
(ან დავჯდეთ ხახვი ვარჩიოთ)
ჰო, და ასეა, დომენტი,
თლად ამოვწურეთ მომენტი,
აჰა, იწილო, ბიწილო,
შენ ლუწი შეგხვდა, მე კენტი...
აპა, იწილო, ბიწილო.
შენ რატომ წივი წიწილო,
გაგვხადე ღღეს სასაცილოდ
გაგვიხდი ოქროს ფასადა—
ფაიობ შენ სამათასადა...
ეჰხ, დღეს ვერვინ სჭამ წიწილებს,
შამფურზე მძრეს დალეწილებს,
თუნდაც ტაბაკად შემწვარსა.,.
(პისტიზე იწერ შენ ჯვარსა?
წიწილს ვერ გაჭმევ შემწვარსა.)
გაიგე ძაო დომენტი.
ვგონებ, ჯორს ჰყიდის ტერენტი—
და რომ ვიყიდდეთ ერთად ჯორს,
ხშირად ვეწვევით ჩვენ კოჯორს,
თორემ ფეხით სიარული,
ფეხსაცმლისთვის არის რთული,—
ხომ არ გყავს ვინმე ძმობილი,
დაგვითმოს ავტომობილი,
ან, და, შიგ, ერთი ადგილი,
(თუმცა ეს არის ადვილი)
კოჯორს ჩვენ როგორ ვეწვიოთ,
იქ საქმეს როგორ ვეწიოთ...
შენთვის თუმკ სულ ერთი არი,
მაგრამ მე ვარ კოჰისარი—
ქმრემის მიერ არჩეული,
მაი იქ სულის ორეული
(უბრალოდ რომ ვსთქვათ ცოლები
სულის და გულის ტოლები
დასვეს მაი ჩემს ანაბარად,
თვითონ კი ცხოვრობენ ბარად
ორშაბათით შაფათამდე...
შაბათობით ათასამდე
ეიტა კოჯორს ეწვევიან—
— თავის საქმეს ეწევიან,
მანამდე კი მთელ კოჯორში
ჩემს გარდა ძმავ, არვინ არი,
ბოლოდ მე ვარ ერთი ქმარი...

შექანჯალებული

სიძე--სიმამრი

დრამა 4 მოქმედებად.

მომქმ. პირნი:

ონისიმე, მსუქანი სპეკულიანტი.
მარო, ისი ასული.
ჯონი, ინგლ. ოფიცერი.
ინგლ. გენერალი.

მოქმედება სწარმოებს ქ. ბათუმში.

მოქმ. I ბულვარში

1 აპრი. 1920წ.

ჯონი მარო! მომივლია
მე მთელი ქვეყანა,
არსად არ მინახავს
ტურფა შენისთანა...
ალბათ აქ, ბათუმში,
ბედმა მომიყვაანა, —
მარო, რომ შეგირთო,
წამოვყვები განა?.

მარო ჯონ! მე ბევრი ვნახე
კოხტა ყმაწვილები:—
ნემეცი,—თათარი,
რუსი, ქართველები,
მაგრამ შენებრ არვინ
არ მომწონებია...
ალბათ, დაგენაცვლე,
ბედი მქონებია!

(ფარდა)

მოქმედება II

ონისიმეს დარბაზი. 2 აპრილი 1920 წ.

მარო პაპა! ისე მიყვარს,
ისე მიყვარს ჯონი...
რომ თუ არ გავყევი
გავგიჟდები მგონი!

ონისი. შენ წაგიყვანს იგი?!
ქალო, მოდი გონსა,
შენებრ მაროები
ათასი ჰყავს ჯონსა.

მარო მან შემფიცა პაპა—
„ჩემო გვრიტო მწყერო“

თუ ნებას დაგვრთავენ
ნე ჯვარს დავიწერო.
ონისი. თუ კი ჯვარს დაწერს
ყაწვილია ჯელი—
სახუმრო არ არის
სიძეთ ინგლისელი.
(ფარდა)

მოქმედება III

ონისიმეს დარმაზი. 5 ივლისი 1920 წ.

მარო პაპა! ისე ვატყობ
ის წყეული ჯონი...
ბათუმიდან მიდის,
მიმატოვებს მგონი!
ონისი. აბა რას სულელობ,
როგორ გეტყვის ვარსა!!
როგორ მიგატოვებს,
ჯვარდაწერილ ქალსა!!
მარო შენ ფიქრობ დაუშლის
ზრდილობა, სინდისი—
შენ არ იცი პაპა
ხასიათი მისი...
ონისი. შვილო, კარგათ ჰკითხე
და თუ გითხრას ვარი
საჭიროა უფროსს
მივსცეთ საჩივარი!
(ფარდა)

მოქმედება IV

ინგლ. გენერალთან. 6 ივლისი.

ონისი. დიდო გენერალო!
გიჟი სიძე ჩემი,
თქვენი ოფიცერი,
ის არ დასარჩენი,
ქალს მიტოვებს, მიდის
ქალსა ჯვარნაწერსა!!
განა ეკადრება,
ეს თქვენ ოფიცერსა?!!
გთხოვთ რითიცა გ ურდეთ
მითი მიმსახუროთ
და ის ჩემი სიძე
მაგრათ შეახუროთ.
ინგ. გენ. მთხოვნელს დავეხმაროთ
წესია და ვალი,
მაგრამ „იმ თქვენ სიძეს"
ინგლისში ყავს ქალი.
ამ საგანზე თხოვნა
ერთობ გვიანია,
ექვსი წელი გადის
ცოლ-შვილიანია.
ონისი. თქვენი ოფიცრები
ყოფილან წყეული,
ინგ. გენ. ჰო ასეთ ხუმრობას
არიან ჩვეულნი.
ონისი. მაშ ჩემ ქალს იმ გიჟმა
უნდა უთხრას ვარი?!!
ტყვილა დაიწერა
სობოროში ჯვარი?!!
როცა ონისიმე
უფროსთან ყვიროდა
იმისი მარიკა
ლოგინში სტიროდა.
ინგლისელ ოფიცერს
კი შორი გზა ჰქონდა
მეუღლის მზიერვი
გემისკენ გაჰქონდა.
(ფარდა)

ისკანდერ.

მთავარი სახელოსნოები.

განცხადებათა დაფაზე.

პირველი განცხადება: თავზარდაცემულ და ბედისაგან განწირულ მემანქანეთა და კონდუქტორების ერთი ჯგუფის მონდობილობით ვ:უწყებ ამ-ხანაგებს ადერბეიჯანთან ომში დაჭრილ ამხ. სპირდონ კონტრაბანდიძ:ს გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს ეკლესიიზე, მიცვალებულს გამოასვენებენ ოთხშაბათს 18 აგვისტოს ბეღნი-გრიშ:ეას დუქნიდან.

დაკრძალვის კომისიის თავმჯდომარე **ფონ-ბახჩო.**

მეორე განცხადება: კვირას, 8 აგვისტოს, კონტორის მოხელეთა კატეგორიების გარდ:ცვლილებიდან ერთი წლის შესრულების გამო დანიშნულ სამოქალაქო პანაშვიდს ბევრი ხალხი დაესწრო. მგრძნობიარე სიტყვები წარმოსთქვეს შრომის სამინისტროს, გზათა დეპარტამენტის და კავშირის ცენტრ. გამგეობის წარმომადგენლებმა. ბევრი დამსწრეთაგანი და განსაკუთრებით თ. მეგრელიშვილი ცრემლებს ვერ იკავებდენ სიტყვების დროს. მიცვალებულის ჭირისუფალნი უღრმეს მადლობას სწირავს ყველას, ვინც ასეთი თანაგრძობა გამოიჩინა მათ უბედურებისადმი.

მონდობილობით მანჯავიძე და შარვაძე.

ციცა

ორი.

ორი რამ უყვარს გაგიუებით მაესტრო იაკობ ნიკოლაძეს: ჭადრაკი და ქანდაკება. ჭადრაკის თამაშის დროს, რომ ჰკითხო, ამ ორ საქმეში რომელი გირჩევნიაო, ძერწვაო, გიპასუხებს, ხოლოძერ წვის დროს თუ შეესწარი როგორმე და იგივე კითხვა დაუსვი, ჭადრაკის თამაშო, გეტყვის. თითონაც ვერ გამოურკვევია რიგიანათ, რომელი უჩევნია. ისე კი, უმთავრესათ, ჭადრაკს თამაშობს, რადგან მის ატელიეს მუდამ ჰგვიან და მტვერში მუშაობა აბა რა სახარბიელოა! ეს არის ერთად ერთი ჭეშმარიტი მიზეზი, იაკობი რომ კვირაში ერთხელ შედის თავის ატელიეში. ყოველ შემთხვევაში, თითონ მაესტრო მხოლოდ ამ მიზეზს ასახელებს.

ერთხელ იაკობმა დაუდარაჯა თავის მსახურს და უკანასკნელმა რომ დასასვენებლათ ცოცხს შეუშვა ხელი ერთი წუთით, მოსტაცა მას ეს იარაღი და თავისებურის გატაცებით შეუდგა ძერწვას



ძერწვას რომ მორჩა და თიხის ქანდაკება დაამზადა, გააკეთა ყალიბი და ჩამოასხა იმდენი ბიუსტი, რამდენიც [სხვა და [სხვა საზოგადო დაწესებულება და შეძლებული კაცი მოიპოვება მთელ საქართველოს რესპუბლიკაში.

შემდეგ დაივიწყა დროებით „დარბაზი“ და ორი თვის განმავლობაში კარ და-კარ დადიოდა ყველა დაწესებულებაში და მდიდარ ქართველთა ბინებზე და საოცარის მჭერმეტყველობით უმტკიცებდა მათ, რომ ისინი ვალდებულნი არიან შეინახონ მისი ნაწარმოები:—თუ გინდათ გამტკიცდეს საქართველოს დამოუკიდებლობა, ჩამოგვშორდენ კომუნისტები, შემოგვიერთდეს ბათომი (მაშინ ბათომი არ იყო შემოერთებული), მოვმაგრდეთ ეკონომიურათ, შევმუსროთ ყველა ჩვენი მტერი და ავაყვავოთ [illegible]ობლო, სვით ჩაჩიბაიას ღვინო და შეიძინეთ ჩემ მიერ გაკეთებული ბიუსტიო!

როდესაც იაკობი დარწმუნდა, რომ ჩვენს ქვეყანაში არც თუ ეგრე რიგათ ყოფილა განვითარებული ესთეტიური გემოვნება და ხელოვნების სიყვარული და მისმა აგიტაციამ რიგიანათ ვერ გასჭრა ყველგან, სხვა ოინს მიმართა: დღის სინათლეზე მოქმედებას თავი დაანება და ღამის სიბნელეში იწყო თავის საქმის მოგვარება. გაიდო მხარზე თავის ნაწარმოები,

სულ რამდენიმე ღამის განმავლობაში დაიარა ყველა ზემოხსენებული მიზანში ამოღებული ბინები და ჩუმათ, უხმაუროთ შეუგდო ყველას თითო ცალი თავისი საქონლისა

იმავ ლამის წყვდიადში კოხტად დაამყარა თავისნი ნაწარმოებნი ლამაზ კვარცხლბეკზე ...



ამის შემდეგ საქმე მხარი იყო კიდეკ და სხვა რალა დარჩენოდა მაესტრო იაკობ ნიკ... ...ა ანგარიშით (ჩოტით) ჩამოვლა ყველა თავისი კლიენტებისა.